

ზოგადი სფეროს აუდიტორი

ილია ხოსიტაშვილი

სოფელი დილომი

ტ: 593-98-44-64

2-52-71-89

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული
საქმიანობის საბჭოს აუდიტორის სერტიფიკატი №6/049,
ლიცენზია აუდიტორულ საქმიანობაზე №026,
ძირითადი ფონდების გადაფასების მოწმობა №001

30.06.2016

აუდიტორიული დასკვნა

საქართველოს ზოგადი სფეროს დამოუკიდებელმა აუდიტორმა ილია ხოსიტაშვილმა (საქ. პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი №6/049, ამავე საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზია აუდიტორიულ საქმიანობაზე №026 ძირითადი ფონდების გადაფასების მოწმობა №001) სსიპ. ქალაქ თბილისი №2 საჯარო სკოლის (ს/ნ 202887755) ღირექცეასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოვახდინე შენობის ვარგისიანობის დადგენა და შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მოხმარებისათვის გამოსადეგი სამშენებლო მასალების ექსპერტიზა-შეფასება საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით. (უძრავი ქონება მდებარეობს: ქ. თბილისი ცხრა ძმის ქუჩა №58-ში).

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის სპეციალისტების მიერ და სკოლის შიდა კომისიის შედგენილი აქტის მიხედვით ახალი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით, აუცილებლობას წარმოადგენს სკოლის ტერიტორიაზე არსებული მარჯვენა ფლიგელის დემონტაჟის განხორციელება.

საექსპერტო დასკვნა

ჩემს მიერ ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაერწმუნდი, რომ ყოფილი N3 საჯარო სკოლის მარჯვენა ფლიგელი, აშენებულია 80-იან წლებში. 1992 წლიდან აღნიშნულ შენობაში ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები, რომლებმაც თავისი სახსრებით მოახდინეს ფლიგელის გადახურვა, ხოლო მანამდე ეს ფლიგელი იყო გადაუხურავი და წლების განმავლობაში ჩაედინებოდა ატმოსფერული ნალექი, რომელიც აზიანებდა გადახურვის ფილებს. შენობა არის მართკუთხედის ფორმის, ზომებით 12+13 მ. ჩემი დასკვნით შენობას გასული აქვს ექსპლუატაციის ვადა და შემდგომი გამოყენებისთვის უვარგისია. ამასთანავე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნულ ტერიტორიაზე გეგმავს ახალი სკოლის მშენებლობას და აუცილებელია ფლიგელის დემონტაჟი.

მარჯვენა ფლიგელი აშენებულია საკედლე ბლოკებით, გადახურულია რუბეროიდით. ფლიგელში მოწყობილია ხის კონსტრუქციებში გადაწყვეტილი კიბის უჯრედი, კარ-ფანჯრის ღიობებში ჩასმულია ხის ნაკეთობები.

დასკვნითი ნაწილი

ჩემს მიერ სსიპ ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლის დირექციასთან 2016 წლის 24 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად დავადგინე შემდეგი:

მარჯვენა ფლიგელის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მეორადი მოხმარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას საერთო რაოდენობის 60-70 პროცენტი.

№	მასალების დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
1	საკედლე ბლოკი	ცალი	95	25	2375
2	სინკარი	ცალი	50	60	3000
3	სინკარი	ცალი	50	40	2000
	ჯამი				7375

სულ სკოლის მარჯვენა ფლიგელის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი საამშენებლო მასალების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 7375 (შვიდიათას სამას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის შედგენილი პროექტის მიხედვით ჩემს მიერ გაანგარიშებული იქნა სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულება.

№	ხარჯები	ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
1	მუშები - 3	დღე	30	25	2250
2	დარაჯი - 1	თვე	2	150	300

3	ფარდა	ცალი			300
4	ამწეკრანი	დღე	12	300	3600
5	ტრაქტორი	დღე	8	300	2400
6	ტრანსპორტი	დღე	8	200	1600
7	გაუთვალისწინებელი ხარჯები	5%			522
8				ჯამი	10952
9	მოგება 10%				1095
10				ჯამი	12047
11	დღგ 18%				2168
12				ჯამი	14215

სულ სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 14215 (თოთხმეტი ათას ორას თხუთმეტი)ლარი.

ვინაიდან აღნიშნულ ობიექტზე დემონტაჟის შედეგად მიღებული სავარაუდო მასალების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 7375 (შვიდიათას სამას სამოცდათხუთმეტი) ლარი , ხოლო შენობა - ნაგებობების სადემონტაჟო ღირებულებამ 14215 (თოთხმეტი ათას ორას თხუთმეტი)ლარი., რის გამოც შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო თანხა აჭარბებს დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მიღებული მასალების თანხას .

რეკომენდაცია ეძლევა სკოლის დირექციას საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება განისაზღვროს ნული ლარით.

ზოგადი სფეროს აუდიტორი:



ი. ხოსიტაშვილი